150A 150B

Ⴜ̃ა Ⴈოვანე Ⴍქროპირი

# საკითხავნი მარტჳლიისანი

## დღისა მისთჳს, რომელსა მოივლინა Ⴑული Ⴜმიდაჲ*

Ⴍდესმე ენანი Ⴖმრთისაგან რისხვითა განიწვალნეს უკეთურებისათჳს კაცთაჲსა, ხოლო ამას დღესა შინა წყალობითა და მადლითა Ⴑულისა Ⴜმიდისაჲთა მოეცნეს შეწევნისათჳს სოფლისა; მაშინ განიბნინეს, რაჲთა მოყუასმან მოყუსისა თჳსისაჲ ნუ ისმინოს, აწ მოეცნეს, რაჲთა ისმინონ, ისწაონ და გულისხმა-ყონ.

Ⴋას ჟამსა განყოფამან მან ენათამან საქმენი ცუდნი განაქარვნა; ხოლო აწ ენანი რომელნი მომეცნეს, საქმენი ჭეშმარიტებისანი დაამტკიცნეს და აღავსნეს; მუნ მოეცნეს, რაჲთა ზრახვანი უკეთურნი განაქარვნეს, და აქა მოეცნეს, რაჲთა კეთილი Ⴖმრთისა ნებაჲ ქადაგონ.

Ⴋას ჟამსა მისთჳს, რაჲთამცა არა ისმინეს ენაჲ იგი ურთიერთასი, და აწ მისთჳს, რაჲთა ყური მიუყონ სიტყუათა შეწევნისათა. Ⴋას ჟამსა განიბნინეს ენანი გოდლისა მისთჳს, რომელი აღიშჱნებოდა ბოროტად, და აქა მომეცნეს ენანი, რაჲთა დაემჴუნენ ცოდვანი, რომელნი აღეშჱნებიან საცთურად. Ⴃა გამოვიდეს ენანი შემდგომად ენათა, რაჲთა შემოიყვანნეს იგინი სახლსა ცხორვრებისასა.

Ⴃა მოვიდა Ⴑული შემდგომად Ⴛისა, დაებეჭდა ჴსნაჲ ჩუენი ბეჭდითა თჳსითა, აღმაღლდა Ⴋხოლოდ-შობილი იგი, Ⴐომელი დამდაბლდა ჩუენთჳს წყალობითა Ⴕჳსითა, გარდამოჴდა Ⴌუგეშინის-მცემელი, რაჲთა აღასრულოს ძლევაჲ ჩუენი მოწყალებით.

Ⴋოივლინა ჩუენდა აზნაურებაჲ ჴელითა Ⴛისა თჳსისაჲთა და შემეძინნეს ჩუენ ნიჭნი ჴელითა Ⴑულისაჲთა, რომელი Ⴋისგან არს. Ⴐამეთუ უნდა Ⴋამასა ცხორებაჲ ჩუენი, გულსიდგინა Ⴛემანცა მოძიებაჲ ჩუენი.

Ⴐამეთუ დამდაბლდა Ⴋხოლოდ-შობილი იგი ჩუენთჳს და დამდაბლდა Ⴑულიცა იგი და ჰფუფუნებდა ყოველთა. Ⴂანმდიდრდეს მოციქულნიცა ნიჭითა Ⴑამებისაჲთა ჩუენისა სარგებელისათჳს, განვიდეს და განეფინნეს ყოველთა კიდეთა ქუეყანისათა, და შეკრებისა ჩუენისათჳს ქადაგებდეს წინაწარმეტყუელნი, და დაჰბეჭდეს მოციქულთა ძლევაჲ ჩუენი.

Ⴋიეფინა Ⴑული იგი ყოველსა ჴორციელსა, ვითარცა თქუა Ⴈოველ წინაწარმეტყუელმან: «წინაწარმეტყუელებდენ ძენი და ასულნი თქუენნი»(იოველ 2,28). Ⴅითარცა აღუთქუა, მისცა Ⴖმერთმან მადლი მონათა და მჴევალთა თჳსთა ზედა – Ⴑული იგი თჳსი. Ⴃა იცნეს იგი, ვითარცა თქუა: კნინნი დიდთა თანა. Ⴃა აღივსო ქუეყანაჲ მეცნიერებითა მისითა, რომელი სავსე იყო საცთურითა, და დამტკიცნა ჭეშმარიტებაჲ. Ⴂამოაბრწყინვა ნათელი Ⴕჳსი და მის გამო წარემართა მისლვად მისა. Ⴈსწრაფეს შეწევნათა Ⴋისთა და გულსიდგინეს და აღჴოცნეს სავნებელნი ჩუენნი.

Ⴂამობრწინდა ჴორცთა ჩუენთა ზედა და განანათლნა სულნი ჩუენნი; მოვიდა ცხადად და შეეწია გონებათა ფარულად; იჴსნნა ათასნი ბრალისაგან და განარინნა ბევრნი სიკუდილისაგან; შეისხნა ჴორცნი, თანა-მდებნი მიწისაგანნი, და მისგან აღილო ძლევაჲ სრულითა სიმჴნითა; შთავიდა სიღრმესა და წარმოტყუენა ტყუჱ; აღჴდა მაღლად და განუყო ნიჭი თჳსი და იქმნეს ჴორცნი მისნი მიზეზ კეთილის; და განარინნა სულნი ბოროტისა შეპყრობისაგან; გამოუჩნდა თუალთა, რაჲთა გამოუჩნდეს გულთაცა; შეეხნეს ჴელნი, რაჲთა დაემტკიცნენ გონებანიცა; შესახებელ ყვნა მადლნი თჳსნი და უჩუენა კაცთა სიმდიდრჱ თჳსი; და არა მით ხოლო კმა-ყო, რაჲთამცა კაც ხოლო იქმნა, არამედ მოკლულცა; და არა ხოლო თუ მოკლულ, არამედ დაფლულცა.

Ⴋოვიდა მადლითა Ⴕჳსითა და მოწყუდნა ცოდვანი ჩუენნი, და თუმცა მოწყალებასა მას Ⴋისსა არა დაემშჳდა Ⴈგი, აღ-მცა-ჴოცა ბუნებაჲ ესე ჩუენი. Ⴁუნებანი ბუნებათა ჩუენთა ზედა განრისხნეს Ⴟუარ-ცუმასა მას

---

* სინური მრავალთავი 864 წლისა, რედ. ა.კ. შანიძე, თბ., 1959. გვ. 181-184.

Ⴋისსა და შთანთქმაჲ ჩუენი ეგულებოდა ყოველთაჲ. Ⴐაჟამს Ⴟუარს-აცუეს, კლდენი განიპნეს და სამარენი აღეხუნეს და მკუდარნი განცხოველდეს, ხოლო ცხოველნი იგი განცოფნეს.

Ⴂანაგდო Ⴟუარი იგი და აღმაღლდა ცად. Ⴀრა დაიმარხა მან მანკიერებაჲ ნათესავისა ჩუენისათჳს, მოავლინა ნიჭი Ⴇჳსი და აღავსნა Ⴄკლესიანი. Ⴓწოდა მკლველთაცა მისთა, უნდეს თუ, სუფევდენ იგინიცა მეგობართა Ⴇჳსთა თანა. Ⴃა თუ ჰრწმენეს სიმდაბლჱ იგი მისი, ჴორცნი თჳსნი მისცნენ მათ სიყუარულითა თჳსითა.

Ⴃასაბამად ნიჭთა თჳსთა ჴორცნი Ⴇჳსნი განუყვნის და სისხლნი Ⴇჳსნი უსასყიდლოდ მისცნის. Ⴓსასყიდლოდ Ⴄკლესიათა თჳსთა განუყვნა ენანი, რაჲთა ქადაგონ ჭეშმარიტებაჲ Ⴋისი.

Ⴋოავლინა ნიჭი Ⴇჳსი, რაჲთა წამონ სარწმუნოებაჲ მისი. Ⴈქმნა თავს-მდებ სოფლისა სასწაულებითა მით, ვითარმედ Ⴖმერთი არს, და დააბა წიგნ-წერილებაჲ იგი სასწაულებითა ძალისა Ⴋისისაჲთა, ვითარმედ დამბადებელი Ⴈგი არს.

Ⴈგი არს დამბადებელი და Ⴈგი არს მჴსნელი ჩუენი. Ⴋის გამო აღესრულნეს საქმენი, Ⴀმან იჴსნა კაცი, Ⴀმისგან გამოჩნდა Ⴋამაჲ, Ⴀმისგან იცნობა სუფევაჲ და Ⴈგი არს ნიჭი ჩუენი. Ⴃა Ⴑულისა გამო დაებეჭდა ჭეშმარიტებასა და განიყვნეს ნიჭნი მადლთა Ⴋისთანი. Ⴈწამების დამდაბლებაჲ იგი Ⴋისი და უფლებისა მისისათჳს დაჰბეჭდა ძალმან Ⴋისმან.

Ⴖაღატ-ყვეს სასწაულთა Ⴋისთა ძალითა თჳსითა, ვითარმედ: Ⴖმერთი არს ჭეშმარიტად, რამეთუ აღასრულნა სიტყუანი Ⴋისნი, ვითარმედ: Ⴘემოქმედი არს ჴელოვანთ-მოძღუარი ყოვლითურთ და არწმუნა სოფელსა და იმიერ და ამიერ მისცა არგანი ყოველთა, რამეთუ დასნეულდა კაცებაჲ ესე ჩუენი. Ⴃა განამრავლნა შეწყნარებანი Ⴇჳსნი, რამეთუ დასნეულდა თავისუფლებითა Ⴇჳსითა.

Ⴈღუაწა მისთჳს ნებითა Ⴇჳსითა, რამეთუ დაავიწყდა იგი და დაითმინა მისი და შეაჯერა მას. Ⴃა ვითარცა შეეშინა მას სიმდიდრისაგან მისისა, შეეწია მარჯუენითა Ⴇჳსითა. Ⴘემდგომად ნათლისა მის Ⴋისისა, ვითარმედ განიძარცუეს დიდებაჲ იგი, რომელ შთაეცუა Ⴋას, განბანა და განწმიდა ლხინებითა თჳსითა.



**Ⴀდამსა** შეემოსა და შეემკო ესე დიდებითა Ⴇჳსითა და წყალობითა Ⴇჳსითა ძიება-ყო სრულიად. Ⴀრა თუ ხარკით დაჰბადა და არცა ხარკით იჴსნა და არცა ხარკით ყვის კეთილი, დაბადებულნი მისნი ეწამებიან, ვითარმედ Ⴈგი არს, და საქმენი Ⴋისნი ღაღადებენ, ვითარმედ ქველის-მოქმედ არს.

Ⴋოწამე არს ჴელი Ⴋხოლოდ-შობილისაჲ, რომელმან დაჰბეჭდა Ⴑულითა Ⴇჳსითა. Ⴋამაჲ მოწამე არს Ⴛისა სრულითა სიყუარულითა Ⴇჳსითა, და Ⴛჱ ქადაგებს Ⴋამისათჳს ჭეშმარიტითა მოწამებითა Ⴇჳსითა, და Ⴑული ფუფუნებითა თჳსითა აუწყებს მადლისა მისისათჳს, წინაწარმეტყუელნი ქადაგებენ, მოციქულნი ღაღადებენ, გონებანი ეწამებიან.

Ⴃღეს აღესრულა სიტყუაჲ იგი, რომელი ითქუა წინაწარმეტყუელთაგან, ვითარმედ: მივჰფინო Ⴑულისაგან Ⴙემისა ყოველსა ზედა ჴორციელსა და წინაწარმეტყუელებდენ ყრმანი თქუენნი(იოველ 2,28).

Ⴈხილეთღა, არაძი აღესრულაა მოციქულთაცა მიმართ ჟამსა მას, რომელსა შეკრებულ იყვნეს ერთად ქორსა მას ზედა და გამოუჩნდეს მათ ნაწილნი ვითარცა ცეცხლისაგან! იწყეს სიტყუად უცხოთა ენათა ენად-ენად, რაჲთა დააკკრვონ ნათესავსა ზედა, რომელნი შეკრიბნა და მოიყვანნა Ⴑულმან მან, რაჲთა იხილნეს დიდ-დიდნი იგი ძალნი Ⴖმრთისანი.

Ⴃა ჩუენცა, ძმანო, ნუმცა თანა-წარვსცოდავთ სულთა ჩუენთა ზიარებისა მისგან Ⴑულისა Ⴜმიდისაჲსა და ნუ მოვალნ გულთა ჩუენთა, ვითარმედ იგინი ხოლო ღირს იქმნნეს.

Ⴀრამედ ჩუენ თუ გჳნდეს, მოფენილ არიან მადლნი მისნი ჩუენ ზედაცა უხუად. Ⴃა რაჲთა მივიღოთ გჳრგჳნი და ენითა, რომელნი არს თარგმანებითა, დავიმოწაფნეთ და ვასწაოთ უცებთა და ვჰმოძღურიდეთ უსწავლელთა და განვანათლოთ გონებაჲ მათი. Ⴃა დავანელნეთ ულამონი(!) და დავამტკიცნეთ უძლურნი და ვიღუაწნეთ სნეულნი და გამოვზარდნეთ ჴუებულნი. Ⴃა Ⴖმერთი Ⴐომელი მოვიდა ცხორებად ჩუენდა, ვემსგავსნეთ და მცნებათა Ⴋისთა ვიმარხვიდეთ და აღმოვთქუათ მადლი და ძლიერებაჲ, სიმდიდრჱ Ⴑამებისაჲ, ერთობით პატივ-ვსცემდეთ აწ და უკუნითი უკუნისამდე. Ⴀმენ.